№2754 2015 წლის 18 დეკემბერი ქ. თბილისი

**ა(ა)იპ - საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაცია - ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სასყიდლიანი უზუფრუქტის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ**

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, ა(ა)იპ - საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაცია - ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველ ორგანიზაციას (ს/კ: 202065415) სასყიდლიანი უზუფრუქტის უფლებით, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) წლის ვადით, ყოველთვიური სარგებლობაში გადაცემის საფასურის - 2000 (ორი ათასი) ლარის გადახდის სანაცვლოდ გადასცეს ქალაქ თბილისში, კოსტავას ქუჩა №63-ში მდებარე 8059 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობა-ნაგებობის მე-2 სართულზე არსებული 329.91 კვ.მ ფართი და მასზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №01.10.13.041.003.01.519).

2. ამ განკარგულების შესრულების მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები.

**პრემიერ-მინისტრი** **ირაკლი ღარიბაშვილი**